ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 ოქტომბერი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 207 (2368) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში

# „შევარდენს" სიმაღლე შვენის

**თბილისელი** ავიამშენებლების მრავალრიცხოვან კოლექტივში დიდი ხანია სამაგალითოდაა ორგანიზებული ადამიანთა შრომა და დასვენება, აქ მუდამ გულისყურით ეკიდებიან სოციალურ საკითხებს და საბოლოო შედეგიც ისეთია, ამ საწარმოს სხვა კოლექტივებიდან აშკარად რომ გამოარჩევს. მხოლოდ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები როდი გვაქვს მხედველობაში. მთავარი ის გახლავთ, რომ წინა პლანზე ყველგან და ყველაფერში წამოწეულია ადამიანის ფაქტორი. ეს კი მთავარია, განსაკუთრებით დღეს, როცა ცხოვრების ყველა სფეროში პარტიის მიერ ნაკარნახევი გარდაქმნის კურსს ვადგევართ.

რა ცვლილებები მოხდა დიმიტროველთა ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში, ასრულებს თუ არა სპორტული კლუბი „შევარდენი" იმ ფუნქციას, რომელიც მას ეკისრება დღევანდელ პირობებში? ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა სპორტკლუბის მეთორმეტე საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

ვერ ვიტყვით, რომ კონფერენციამ მაღალი პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში ამ შეკრებაზე არ გამოჩნდა საკითხებისა და პრობლემებისადმი თანამედროვე მიდგომის პათოსი. კონფერენცია ძირითადად შაბლონური ნახაზით შემოიფარგლა, ჩვეულებრივი ანგარიში, ჩვეულებრივი გამოსვლები და შეფასებები. მაინც რას მოველოდით არაჩვეულებრივს? პირველ ყოვლისა გაწეული მუშაობის უფრო ღრმა ანალიზს, მიღწეულისა და ნაკლოვანებების შეჯერებიდან გამოტანილ დასკვნებს, გულახდილ საუბარს გამოუყენებელ თუ გამოუვლენელ რეზერვებზე, და კიდევ— კონკრეტული მაგალითებით იმ უდიდეს შესაძლებლობებზე მსჯელობას, რაც მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების საკეთილდღეოდ წამოსწევდა ახალ პრობლემებს.

ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო წელმაგარია მატერიალურად შრომითი კოლექტივი. ამიტომ მეტს ვითხოვთ რესპუბლიკის ამ თვალსაჩინო საწარმოდან, თუმცა, ის, რაც გაკეთდა და კეთდება თავისთავად უკვე ყველაზე მოწინავეთა რიგებში აყენებს ჩვენს ავიამშენებლებს. სპორტული რეზერვის აღზრდა-დაოსტატების საქმეში ხომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი კოლექტივმა. ცხადია, მიღწევების მკაფიოდ გამომხატველ ამ ფაქტებზე ხმამაღლა ითქვა კონფერენციაზე, სამაგიეროდ არ იყო მწვავე მსჯელობა მუშათა სპორტის, მშრომელთა და მათი ოჯახების წევრებს შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ ორგანიზაციის საკითხებზე, ვიმეორებთ, ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ასეთი შესაძლებლობების კოლექტივისთვის.

კონფერენციამ სპორტკლუბის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

დასასრულს საზეიმოდ დაჯილდოეს დიმიტროვის სახელობის საავიაციო გაერთიანების 35-ე სპარტაკიადაში გამარჯვებულები და პრიზიორები. სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის მონაწილეებს, სპორტკლუბ „შევარდენის" წევრებს, ტანმოვარჯიშეებს ლევან სისაურს, ნუგზარ ლვინიაშვილს და მათ მწვრთნელს როინ პასიკაშვილს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების პასუხისმგებელი მუშაკები.



# თბილისობაზე...

**ძმობის მოედანი!** ასე უწოდეს რამდენიმე წლის წინ მეტეხის კლდის ძირიდან რიყემდე გადაჭიმულ ადგილს — ძველი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ და ინტერნაციონალურ უბანს. ძმობის მოედანი — სწორედ ეს სახელი უხდება იმ ატმოსფეროს, რომელიც სუფევს ამ ვიწრო ქუჩაბანდებსა და პატარა ეზოებში, რომელთა მკვიდრთ ასე შეენოდათ ვაჟკაცური შრომა და მხიარული დასვენება.

თბილისობაზე ძმობის მოედანი სპორტული შეჯიბრებებისა და მასობრივი სანახაობების ეპიცენტრი იყო, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოჭიდავეები, ძალოსნები, მობურთალნი. ამ დღეს ვერ ნახავდით შეჯიბრებაში დამარცხებულს, თავჩაქინდრულ ან გულდაწყვეტილ სპორტსმენს. შრომის გამარჯვებას ზეიმობდნენ თბილისელები და ეს ზეიმი უწყვეტ ჯაჭვად გადაეცემოდა ქალაქის სხვა რაიონებს, უბნებსა და მოედნებს.

**ლენინის რაიონში** თბილისქალაქობისადმი მიძღვნილი ზეიმი ზღვაზე გაიმართა. აქ მოწყობილ სანახაობას, რა თქმა უნდა, სხვა ეშხი და სილამაზე აქვს. მოლივლივე ზღვამ, თეთრიალქნიანმა ნავებმა, ზღვაზე გასეირნების მსურველთა მომლოდინე კატერებმა, წყალმოთხილამურეთა საჩვენებელმა გამოსვლებმა თავიდანვე სპორტული ელფერი მისცა აქ გამართულ თავყრილობას. ამინდს უკეთესს ვერც ინატრებდით — დილიდანვე მზემ ისე დააცხუნა, რომ ზეიმის ზოგიერთმა მონაწილემ სპორტული შეჯიბრებები ცურვით დაიწყო, მერე გარბენი და სხვა სახალისო შეჯიბრებები ჩატარდა, ბოლოს საჭიდაოც ახმაურდა. ქართულ ჭიდაობაში გამართულმა შეჯიბრებამ, რომელშიც ზღვის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, მხატვრულ პროგრამას რომ ჰყავდა, იმაზე ნაკლები მაყურებელი როდი მიიზიდა. ამ ბოლო დროს რაიონში დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული ჭიდაობა. ამაში ერთხელ კიდევ დავგვარწმუნა თემქის დასახლების III მიკრორაიონის საბჭოს წინ, II კვარტლის 36-ე კორპუსთან მოწყობილ ძველი ფალავნის კულა იანვარაშვილის სახელობის საჭიდაო მოედანზე ჩატარებულმა შეჯიბრებამ ქართულ ჭიდაობაში. ჩვენი აზრით, ეს ღონისძიება, რომელსაც უბნის „სპორტული თბილისობა" შეიძლება ვუწოდოთ, სამაგალითოა.

— უბანს ენთუზიასტების ხელით მოწყობილი მყუდრო და მოხერხებული საჭიდაო აქვს. აქაური ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს. შაბათ-კვირას გამართულ შეჯიბრებებს მაყურებელი არ აკლია — არც შინაური და არც სტუმარი. იმ დღესაც ყველამ იჭიდავა, ვისაც ძალა ერჩოდა — 6-7 წლის ბავშვებმაც და ჭარმაგმა მამაკაცებმაც. მთავარი მსაჯი თვითონ კულა იანვარაშვილი იყო. მხცოვანი ვეტერანი რაიონში გამართულ არც ერთ შეჯიბრებას არ აკლდება. წინა დღით კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და მუხიანში ჩატარებულ შეჯიბრებებს მსაჯობდა, იმ დღეს კი მისი სახელობის საჭიდაო მოედანზე შეკრებილთ მოძღვრავდა: „ქიშპობა და წყენის გულში ჩადება არ იყოს. გახსოვდეთ, წაქცეული და წამქცევი ძმები არიან".

(იხ. მე-4 გვ.)





საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები ჭადრაკში

# პირველი და... პირველი

**ფრუნზე**, 27 ოქტომბერი (დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ისე მოხდა, რომ მოჭადრაკე ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის XI და XII ტურებში გათამაშებული პარტიების შემდეგ ამ წერილის სათაურში გამოტანილი სიტყვები დომინირებდა. საქმე ისაა, რომ XI ტურში პირველი მარცხი იწვნია ლელჩუკმა — ზაიცევასთან პაექრობაში, ხოლო შემდეგ ტურში ლაგვილავამ მოიპოვა პირველი გამარჯვება სემიონოვასთან ორთაბრძოლაში. ქუთაისელმა მოჭადრაკემ პაიკი მოუგო გამოცდილ უკრაინელ დიდოსტატს და ენდშპილში ზუსტად გამოიყენა ეს მატერიალური უპირატესობა. **XII ტურის** სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სახაროვა — მატვეევა 0:1, უსკოვა — იოსელიანი 1:0, რუჩიევა — მუჩნიკი 1:0, ზაიცევა — პრუდნიკოვა 1:0, ლევიტინა — ვორონოვა 0,5:0,5, ლელჩუკი — გურიელი 0,5:0,5.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. გთავაზობთ მათ შედეგებს: **VI ტური:** ზაიცევა — სემიონოვა 0,5:0,5; **X ტური:** არახამია — ეპშტეინი 1:0, რუჩიევა — სემიონოვა 0:1, უსკოვა — ბაგინსკაიტე 0:1; **XI ტური:** გურიელი — ლევიტინა 0:1, ლელჩუკი — ზაიცევა 0:1, სემიონოვა — უსკოვა 0:1, იოსელიანი— რუჩიევა 0:1, ეპშტეინი — სახაროვა 0,5:0,5; **XII ტური:** არახამია — ბაგინსკაიტე 0:1.

როგორც ხედავთ, ჩემპიონატის ფინიშზე ბრძოლა გამწვავდა. გაუჭირდათ ლიდერებსაც. თვით ნანა იოსელიანიც კი, რომელსაც ზედიზედ 9 ტურის მანძილზე ნახევარი ქულაც არ დაუკარგავს, XI–XII ტურებში აუტსაიდერებთან დამარცხდა. მაგრამ იგი მდევრებზე ისეთი დიდი სხვაობით იყო წინ, რომ ამ ორმა წაგებამაც კი ვერაფერი ავნო მის ერთპიროვნულ ლიდერობას. ლიდერთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებიც არათანაბრად თამაშობდნენ.

დაიწყო ფინიში, სადაც თითოეულ, ნახევარ ქულასაც ოქროს ფასი ადევს. ჩემპიონატს ლიდერობენ: ნანა იოსელიანი — 9 ქულა (12 შესაძლებლიდან), ქეთევან არახამია — 7,5, ნინო გურიელი, ზოია ლელჩუკი, ირინა ლევიტინა (სამივეს — 11-11 შეხვედრიდან), სვეტლანა მატვეევა, კამილე ბაგინსკაიტე (ორივეს — 12-12 შესაძლებლიდან) — 7-7. ჰენრიეტა ლაგვილავამ ჯერჯერობით 2 ქულა მოაგროვა.

იაკობ ლაპიდუსი.

## 12 ტურის შემდეგ

**კუიბიშევში** გრძელდება I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. **X ტურიდან** გადადებულ პარტიაში დაზავდნენ ტემირბაევი და უბილავა, ერმოლინსკიმ მოუგო აზმაიფარაშვილს. **XI ტურში** აზმაიფარაშვილმა სძლია კუპრეიჩიკს, უბილავა—ერმოლინსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. **XII ტურში** ქართველი მოჭადრაკეები ერთმანეთს შეხვდნენ და დაზავდნენ.

12 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში დგას ვ. ტუკმაკოვი — 8,5 ქულა. ა. ხალიფმანს 8 ქულა აქვს, გ. კაიდანოვსა და ა. ხუზმანს — 7-7. ზურაბ აზმაიფარაშვილი 6 ქულით მე-11 ადგილზეა, ელიზბარ უბილავას 4,5 ქულა აქვს (XIII-XV) ადგილები.

## ჭადრაკის ფედერაციის პლენუმზე

**25 ოქტომბერს** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე. ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი ვიტალი სევასტიანოვი, რომელიც თითქმის ათი წლის მანძილზე თავკაცობდა ფედერაციას, ამიერიდან მისი საპატიო თავმჯდომარე იქნება.

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში სხვებთან ერთად არჩეულნი არიან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და საქართველოს სპორტსაკომის ჭადრაკის განყოფილების გამგე გიორგი გაჩეჩილაძე.

**სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა:**
**მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟებაში, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში იზრდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი დანერგვის მნიშვნელობა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყოველი ადამიანი სიყმაწვილიდანვე ზრუნავდეს თავისი ფიზიკური სრულყოფისათვის, ჰქონდეს ცოდნა ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების დარგში, ეწეოდეს ჯანსაღ ცხოვრებას.**

# „ენგური" და ენგურელები



**ენგურჰესის** მშენებლობის სპორტკლუბის ოთახები საგამოფენო დარბაზებს მოგაგონებთ: ფოტოსტენდები, ცხრილები, თასები, სიგელები, დროშები... სპორტკლუბის თავმჯდომარე სერგო კუიუმჯიანი გახლავთ, უფროსი ინსტრუქტორი — ომარ ქირია. ორივე სპორტის ოსტატია, ორივე მოჭიდავე.

სერგო წარმატებით იცავდა მშობლიური სოჭის სპორტულ ღირსებას, მაგრამ მერე გულმა ენგურჰესისაკენ გამოუწია და 1977 წლიდან მეუღლესთან — ფრენბურთელ მარინა კუიუმჯიანთან ერთად საკავშირო დამკვრელურ მშენებლობაზეა. ახალგაზრდა ცოლქმარი საქმის სიყვარულით ილვწიან და თან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობენ.

სერგო და ომარი გატაცებით მიამბობენ კლუბის მიღწევებზე. არც ნაკლს ფარავენ...



ენგურის ნაპირებზე ჰესის მშენებლობას სპორტული მოძრაობა ბუნებრივად მოჰყვა. კლუბის სახელიც დიდხანს არ უძებნიათ.

ენერგეტიკოსთა საკავშირო პროფსაბჭოსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი „ენგური" 12 ძირეულ კოლექტივს აერთიანებს.

ბევრი ფიზკულტურელი და სპორტსმენი გაერთიანდა მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, კრივის, ძალოსნობის, ცურვის, ჭადრაკის, ტყვიის სროლის სექციებში. კლუბს შრომის ვეტერანებზე და მოზარდებზეც უზრუნია. ხუთი გამაჯანსაღებელი ჯგუფი მოქმედებს. ჯვარში ახლახან 7-11 წლის ბავშვებისათვის ფეხბურთის სექცია გაიხსნა. ვარჯიშობენ რიტმული ტანვარჯიშისა და ტურიზმის მოყვარულებიც, რომლებიც აქ არც ისე ცოტანი არიან.

მრავალფეროვანია „ენგურის" პროგრამა. კლუბი აწყობს ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებს, აქვე კვალიფიკაციას იმაღლებენ ინსტრუქტორმეთოდისტები.

ახლა კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად საბერიოში ვართ. ეს მართლაც სპორტული ქალაქი ალბათ საკავშირო ღონისძიებებსაც ჩინებულ მასპინძლობას გაუწევს. ჯვარში სპორტული კომპლექსი შენდება. ფეხბურთელებს, კალათბურთელებს კარგი მოედნები აქვთ. ეგაა, რომ საცურაო აუზის მშენებლობა გაჭიანურდა მეტისმეტად.

სპარტაკიადასაც დავესწარით. პროგრამაში 11 სახეობა იყო, რომელშიც 13 გუნდის 1110 ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ყველას კაშხალმშენის სამმართველომ აჯობა. მოასპარეზეთა შორის მეკლდეურთა ბრიგადის ბრიგადირს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს ნეგუს აკობიას მოვკარით თვალი. დიდია ნეგუსის და მისი ბიჭების წვლილი ენგურჰესის მშენებლობაში. უნიკალური კაშხალის ტანში „საიუბილეო" ბეტონის ჩასხმის საპატიო უფლება ბევრჯერ რგებიათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს. რაც მათ ენგურისპირა სალ კლდეებზე უცოციათ... ალბათ ევერესტზე სავალ გზას გაუთანაბრდებოდა.

— მართალია, შრომა არ გვაკლია, მაგრამ სპორტი მაინც სულ სხვაა, — ამბობს ნეგუს აკობია. სპორტი და ფიზკულტურა გახალისებს და სიმხნევეს გმატებს, სიკეთეს გმატებს, ადამიანებს გაყვარებს, მეგობრებს გძენს. როგორც კი ფიზკულტურის ინსტიტუტს დავამთავრებ, სპეციალობ ბ ი თ დავიწყებ მუშაობას. უწინარეს ყოვლისა, ყველას მეკლდეურობითა და ალპინიზმით დავაინტერესებ. სხვათა შორის, მთამსვლელთა სექცია ჩვენც რომ გვქონდეს, არ იქნებოდა ურიგო საქმე.

იმ დღეს ნეგუსმა პირველობა არავის დაუთმო სახტომ სექტორში. 5 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე გადახტა და ბრიგადის წევრებს ამ მხრივაც მაგალითი უჩვენა.

**ო. ხალია.**



## როგორ ვეგებებით ზამთარს?

### პატაკები ადგილებიდან

**ჭიათურის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი გაცნობებთ, რომ ქალაქის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების აქტიური დახმარებით მთლიანად გადაწყდა ქალაქის სპორტული ბაზების გათბობის საკითხი. ზამთარს მომზადებული ხვდებიან სპორტკომბინატი „მაღაროელი", საცურაო აუზები, მძლეოსნობის დახურული მანეჟი, სპორტთამაშების, ჭიდაობისა და კრივის დარბაზები. აღნიშნულ ბაზებზე ზამთრის სეზონში სპორტული სექციები იმუშავებენ შეუფერხებლად.

**გ. პაპიძე,**
**ჭიათურის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

• • •

**გაცნობებთ,** რომ დუშეთის სპორტკომიტეტის საჭიდაო და რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზები უზრუნველყოფილია გაზის ღუმელებით, რაც მთლიანად უზრუნველყოფს გათბობას. რაიონის 13 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან შვიდი სკოლის, კერძოდ, დუშეთის პირველი და მეორე, ფასანაურის, ჟინვალის, ანანურის, ქვეშეთის საშუალო სკოლებისა და პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის სპორტული დარბაზები მიერთებულია ცენტრალურ გათბობასთან და შეფერხება არ იქნება. რაც შეეხება სოფლების ოძისის, ბაზალეთის საშუალო, ლამოვანის, ჭართლის, ჩინტის 8-წლიან სკოლებისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატის სპორტულ დარბაზებს, მათი გათბობა ხდება ნახშირით. როგორც რაიონის განათლების განყოფილების გამგემ გვაცნობა, ამ სკოლებში ამჟამად მიმდინარეობს და პირველ ნოემბრამდე დამთავრდება ნახშირის შეზიდვა.

**ა. იორდანაშვილი,**
**დუშეთის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

**ამიერკავკასიის თასის გათამაშება ტყვიის სროლაში**

# რაც სპარტაკიადაზე ვერ შევძელით...

**ამიერკავკასიის** თასის გათამაშება ტყვიის მსროლელთა შორის, რომელიც რამდენიმე დღის წინ პირველად ჩატარდა ეშერის „დინამოს" სასროლეთზე, ცხადია, მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო, მაგრამ პრესტიჟულობით ოდნავადაც ვერ გაუტოლდება საკავშირო სპარტაკიადო ტურნირს, იმის მიუხედავად, რომ აქ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და როსტოვის ოლქის გუნდის გარდა, პირად პირველობაში ლენინგრადის, საკავშირო პროფკავშირთა ნაკრებისა და ქვეყნის მთავარი გუნდის წევრებიც გამოდიოდნენ.

საქართველოს ნაკრების ბევრმა სპორტსმენმა სწორედ ამ შეჯიბრებაზე აჩვენა ის შედეგი, რასაც მათგან საკავშირო სპარტაკიადაზე მოველოდით. ჩვენმა მსროლელებმა ამიერკავკასიის თასი მოიპოვეს, მაგრამ თან გული დაგვწყვიტეს — ასე რომ მოსკოვში ესპარეზათ...

სოხუმში მართლაც საოცარი მეტამორფოზის მოწმენი გავხდით. ამაში თქვენც რომ დაგარწმუნოთ, ჩვენი სპორტსმენების მიერ სოხუმში ნაჩვენებ შედეგებს მათ სასპარტაკიადო მაჩვენებლებს შევადარებთ. მხოლოდ ნინო სალუქვაძეს არ შევეხებით. ჩვენი გუნდის ლიდერი როგორც მოსკოვში, ისე სოხუმშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და პნევმატური პისტოლეტით სროლაში (პპ-ს) პირველი ადგილი მოიპოვა (ტყვიის სროლაში მონაწილეობა არ მიუღია).

თბილისელმა გოჩა სარუხნოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში 600 შესაძლებლიდან 599 ქულა მოაგროვა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და პირველი ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ სპარტაკიადაზე მან 6 ქულით ნაკლები აჩვენა. უფრო დიდ სხვაობას წავაწყდებით პნევმატური შაშხანით სროლაში (პშ-6). გოჩამ ეშერაში 583 ქულა მოაგროვა (IV ადგილი), მოსკოვში კი — 566 (!). ანდრეი დოლგარიოვმა მცირეკალიბრიან პისტოლეტით სილუეტზე სროლაში 589 ქულა მოაგროვა, მოსკოვში — მთელი 15 ქულით ნაკლები. არტურ მიტონიანმა „გაქცეულ ტახზე" სროლაში სოხუმში გაიმარჯვა და საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა (587 ქულა). სპარტაკიადაზე კი 8 ქულით ნაკლები მოაგროვა. იუნიორთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონმა კონსტანტინე კოსმინინმაც ერთბაშად 14 ქულით გადააჭარბა მოსკოვში ნაჩვენებ შედეგს — 581. კიდევ ბევრი ასეთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. ასეთმა მეტამორფოზამ სერიოზულად უნდა დააფიქროს ჩვენი მწვრთნელები და სპორტსმენები.

ეშერას სასროლეთზე, გუნდურ პირველობაში, როგორც ითქვა, საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა — 196 ქულა. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ სომხეთის (162), როსტოვის (48,4) და აზერბაიჯანის (24) წარმომადგენლები.

გადაწყდა, შეჯიბრება ტრადიციული გახდეს.

## ახალი სპორტული კომპლექსი ღორეშაში

**სერგო** ორჯონიკიძის დაბადებიდან 100 წლისთავის ზეიმის დღეს სოფელ ღორეშაში საზეიმოდ გაიხსნა კულტურულ-სპორტული კომპლექსი „შევარდენი", რომელსაც აქვს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, სარბენი ბილიკი, მძლეოსნური სექტორები; ტრიბუნები 500 კაცს იტევს, აქ არის საშხაპე, კეთილმოწყობილი გასახდელი და დასასვენებელი ოთახი. კომპლექსის მშენებლობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სოფლის ერთ ერთ უხუცეს ადამიანს ტუხია ორჯონიკიძეს, რომელიც ზეიმის დღეს კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს. აქვე გაიმართა პირველი სპორტული შეჯიბრებები მინი ფეხბურთში, კალათბურთში, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაძალვაში. თავი ისახელეს სოფელ ხუნევის წარმომადგენლებმა. ოთხივე სახეობაში მათ მოიპოვეს პირველობა.

**ანზორ მაღრაძე,**
**ორჯონიკიძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

**ბავშვთა სპორტი — რეზერვი**

## რამ განაპირობა წარმატება?

**აბაშის** პირველი საშუალო სკოლის (დირექტორი მურმან ბურსულაია) მოსწავლეებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ფიზკულტურის მასწავლებლები დარეჯან ცქიფურიშვილი და ვლადიმერ ჩხაიძე ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩააბან სპორტულ სექციებში. ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები. სექციებში ჩაბმული 300-ზე მეტი მოსწავლე წარმატებით მონაწილეობს როგორც სარაიონო, ისე რესპუბლიკურ ასპარეზობებში.

აქაური ფიზკულტურელები ხშირად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს სხვა სკოლების მოსწავლეებთან ერთად, მიდიან ტურისტულ ლაშქრობებში, აბარებენ მშდ-ს კომპლექსის ნორმატივებს. სკოლაში სისტემატურად ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რომელშიც თითქმის ყველა მოსწავლეა ჩაბმული.

საერთო წარმატებას განაპირობებს ის, რომ მოსწავლეთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, მარტივი ტიპის ღია საცურაო აუზი, მინიფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის სპორტული მოედნები, მძლეოსნობის სექტორები; გათვალისწინებულია ხელბურთის, ფეხბურთის მოედნებისა და დაბრკოლებათა ზოლის მოწყობა.

სკოლას მრავლად ჰყავს მოწინავე სპორტსმენები. ისინი კარგად უთავსებენ ერთმანეთს სწავლასა და სპორტს. დავით ჭანტურია, ზვიად ლიპარტია, ეკა ცომაია, კობა ჭანტურია და სხვები წარმატებით იცავენ მშობლიური სკოლის სპორტულ ღირსებას.

**„ლელოს" კორ.**

აბაშა.

## მოკლედ

**ვანის** რაიონის პირველობაში ფეხბურთელთა 16 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალური შეხვედრა 12 ოქტომბერს ვანის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მთისძირისა და დიხაშხოს კოლმეურნეობების ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მთისძირელებმა. მეორე ადგილი დაიკავა დიხაშხოს კოლმეურნეობის გუნდმა, მესამე საპრიზო ადგილზე სალხინოს კოლმეურნეობის კოლექტივი გავიდა.

გამარჯვებულმა გუნდმა (მთისძირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე რ. აბუანდაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ს. ნუცუბიძე) უფლება მოიპოვა მომავალ წელს საქართველოს ზონალურ პირველობაში მიიღოს მონაწილეობა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

# I ლიგა

26 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 44-ე ტურის მატჩები.

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:1 (0:1).**

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 26 ოქტომბერი.**

**„გურია“: იმნაძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (შვეცოვი), კოპალეიშვილი, მ. თევზაძე, ჩხაიძე (ტყებუჩავა), ფრიდონაშვილი, აკოფიანი.**

**„დაუგავა“: კულაკოვი, ანაშკინი, ნიკიშინი, ი. ხემიონოვი, შევლიაკოვი, დეგლისი, შიტიკი (პოპკოვი), ინტენბერგი (პაჩკო), სტარკოვი, მილევსკი, ე. ხემიონოვი.**

**მსაჯი ფ. გიზატულინი (ყაზანი).**

ამდენი მაყურებელი ლანჩხუთის სტადიონს, ალბათ, არ ახსოვს. უმაღლესი ლიგის საგზურისთვის მებრძოლი ორი გუნდის ამ მეტად დაძაბული თამაშის სანახავად მოვიდნენ არა მარტო ლანჩხუთის რაიონის, არამედ სხვა ახლომდებარე ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთის მოყვარულნიც. ლიდერთა მატჩი ღირდა საამისოდ!

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს პრობლემები ამ მატჩში საკმარისად ჰქონდათ და, ისედაც, „გურიის“ უარყოფითი ბალანსი აქვს რიგელ ფეხბურთელებთან, ამიტომ გათამაშების ცხრილში შექმნილი მდგომარეობა მასპინძლებს აიძულებდა ძალების სრული მობილიზებით ეთამაშათ.

ლანჩხუთელებმა მართლაც ასე ითამაშეს, თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა, სრულ ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ შეტევებით გართულებს გამორჩათ რიგელთა სწრაფი კონტრმანევრი, 22-ე წუთზე სტარკოვმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით, გაიჭრა წინ და გახსნა ანგარიში — 1:0.

გაშვებული გოლის მიუხედავად ლანჩხუთელებს არ შეუნელებიათ თამაშის ტემპი, ისინი შესვენების შემდეგაც ბევრს უტევდნენ და ბოლოს, 55-ე წუთზე, კოპალეიშვილმა ძლიერად დაარტყა კარში. მეკარე კულაკოვმა მოიგერია ბურთი, მას მიუსწრო ფრიდონაშვილმა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

სულ ორიოდე წუთი იყო გასული ამის შემდეგ, როცა კოპალეიშვილმა მიიღო აკოფიანის გადაცემა და ულამაზესად, ძლიერად დაარტყა კარში — 2:1.

თამაში უკიდურესად დაიძაბა, 65-ე წუთზე „გურიის“ მორიგი იერიშის შემდეგ მ. თევზაძის დარტყმა ძელს მოხვდა, შემდეგ კი უპირატესობამ რიგელთა მხარეს გადაინაცვლა, ისინი აქტიურად, მთელი მონდომებით თამაშობდნენ, სტარკოვმა თავით ძელსაც მოახვედრა ბურთი, მაგრამ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

„გურიის“ ეს გამარჯვება ლიგის ლიდერთან მეტად სასიხარულო, მნიშვნელოვანი ამბავია, ჩვენს გუნდში საუკეთესოდ თამაშობდა ყველა ფეხბურთელი, განსაკუთრებით კი ვეტერანი ვ. კოპალეიშვილი და ახალგაზრდა მ. თევზაძე.

I ლიგის საკავშირო გათამაშება დასასრულს უახლოვდება, დარჩა სულ 4 ტური. ბრძოლა უმაღლესი ლიგის ორი საგზურისთვის კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც რიგის „დაუგავამ“ მარცხი იწვნია ლანჩხუთში. ახლა მას მჭიდროდ მიუახლოვდნენ კონკურენტები და, არსებითად, ბრძოლა უკვე წარმოებს არა ერთი, როგორც ადრე იყო, არამედ ორივე საგზურისთვის. განვლილ ტურში დუშანბეს „პამირმა“ ლვოვში მარცხი იწვნია ადგილობრივ ასკ „კარპატისთან“ შეხვედრაში — 1:2, ქულა დაკარგა ვოლგოგრადის „როტორმაც“, რომელიც შინ ეთამაშებოდა კრასნოდარის „ყუბანს“ — 0:0.

ბათუმის დინამოელებმა 26 ოქტომბერს ნიკოპოლში ითამაშეს „კოლოსთან“ და მარცხი განიცადეს — 1:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი“ (კემეროვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 1:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:1.

ცსკა, რომლის თამაშსაც დიდი მნიშვნელობა აქვს I ლიგის ლიდერთა საბოლოო შედეგებისთვის, 26 ოქტომბერს ისვენებდა. კალენდრის მიხედვით იგი 9 ნოემბერს მიიღებს თავის მინდორზე როსტოვის არმიელთა გუნდს.

* * *

**მომდევნო,** 45-ე ტურის მატჩები 2 ნოემბერს გაიმართება. ლანჩხუთის „გურია“ როსტოვში შეხვდება ადგილობრივ არმიელთა გუნდს, ხოლო ბათუმის „დინამო“ შინ მიიღებს „როსტსელმაშს“.

ამ დღეს „დაუგავა“ მიიღებს კიშინიოვის „ნისტრუს“, ცსკა შეხვდება მოსკოვის „ლოკომოტივს“, დუშანბეს „პამირი“ ხაბაროვსკში ეთამაშება იქაურ არმიელებს, ხოლო ლვოვის ასკ „კარპატი“ კლაიპედაში შეხვდება „ატლანტასს“.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 28 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 42 | 22 | 12 | 8 | 73-42 | 56 |
| „გურია“ | 42 | 25 | 5 | 12 | 75-62 | 55 |
| ცსკა | 41 | 22 | 9 | 10 | 55-33 | 53 |
| „პამირი“ | 42 | 20 | 10 | 12 | 69-42 | 50 |
| ასკ „კარ.“ | 42 | 20 | 10 | 12 | 64-48 | 50 |
| „როტორი“ | 42 | 21 | 7 | 14 | 67-50 | 49 |
| „როსტს.“ | 42 | 19 | 10 | 13 | 76-61 | 48 |
| „ლოკომ“. | 42 | 18 | 11 | 13 | 57-46 | 47 |
| „კოლოსი“ | 42 | 17 | 11 | 14 | 43-44 | 45 |
| „დინამო“ ბ. | 42 | 18 | 8 | 16 | 44-53 | 44 |
| „ფაკელი“ | 42 | 17 | 8 | 17 | 48-42 | 42 |
| „სპარტაკი“ | 42 | 15 | 12 | 15 | 56-55 | 42 |
| „მეტალურ.“ | 42 | 16 | 9 | 17 | 55-50 | 41 |
| ასკ რ. | 41 | 15 | 11 | 15 | 52-43 | 41 |
| „შინიკი“ | 42 | 14 | 14 | 14 | 36-36 | 40 |
| „კუზბასი“ | 42 | 14 | 12 | 16 | 53-56 | 40 |
| „ფახთაქ.“ | 42 | 14 | 9 | 19 | 52-64 | 37 |
| „დინ.“ სტ. | 42 | 12 | 15 | 15 | 57-51 | 36 |
| ასკ ხ. | 42 | 12 | 11 | 19 | 47-56 | 35 |
| „ყუბანი“ | 42 | 11 | 14 | 17 | 34-44 | 34 |
| „კოტაიკი“ | 42 | 11 | 13 | 18 | 38-49 | 34 |
| „ისკრა“ | 42 | 11 | 12 | 19 | 27-52 | 34 |
| „ატლანტ.“ | 42 | 8 | 10 | 24 | 36-69 | 26 |
| „ნისტრუ“ | 42 | 5 | 9 | 28 | 27-93 | 19 |

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით ჩვენი კორ.).**

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის VII ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

### I-XII ადგილები

„სულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:4, „ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კახეთი“ (თელავი) 4:1.

წყალტუბოს „მადრევანისა“ და თბილისის „შევარდენი“-სპო-ს შეხვედრა გადატანილია 19 ნოემბრისთვის.

### XIII-XXIII ადგილები

„დინამო“ (გაგრა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმედი“ (თბილისი) 4:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**„ქაირათი“ — „შახტიორი“ 2:0 (1:0).** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ეს მატჩი 16 ნოემბრიდან გადმოიტანეს 24 ოქტომბრისთვის. ბურთები გაიტანეს მასუდოვმა და სოროკინმა.

გააფრთხილეს ალმაათელი ტიმოფეევი და დონეცკელი რუდაკოვი.

დუბლიორები — 2:4.

## ფედერაციის თასზე

26 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩი ლენინგრადის „ზენიტსა“ და ერევნის „არარატს“ შორის.

გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 1:0.

## I ლიგის საგზურებისთვის

დაიწყო I ლიგის სამი საგზურისთვის მებრძოლი II ლიგის ზონებში გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი 3 ჯგუფში.

კიროვაბადის „ქაფაზმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა მოსკოვის „კრასნაია პრესნია“. [illegible] „მეტალურგმა“ ასეთივე ანგარიშით მოუგო ტიუმენის „გეოლოგს“, ხოლო სარატოვის „სოკოლმა“ წააგო ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ — 1:2.



# შეჯიბრება, რომელიც დიდხანს გვემახსოვრება

**...დამთავრდა** პენალტების კიდევ ერთი, ამჯერად — უკანასკნელი სერია და თბილისის უბნების ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდისთვის განკუთვნილი ბრინჯაოს თასი, მაყურებელთა ოვაციის ქვეშ, ვაკელთა კაპიტანს გელა გელაშვილს გადაეცა. შეჯიბრების მთავარ პრიზს ღირსეული მფლობელი ჰყავს!

ვაკისა და ვერის გუნდების ფინალურმა მატჩმა საინტერესოდ ჩაიარა. გამარჯვებულთაგან ერთი რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა ძნელია, ვერელებიდან კი ქების ღირსია ზაზა გომართელი, რომელმაც კარგად ითამაშა როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. უნდა ითქვას, რომ ამ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ თამაში სანახაობრივად საინტერესო იყო, მოედანზე გამოსულ მოთამაშეთაგან ყველამ ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოევლინა. იგივე ითქმის მესამე ადგილისთვის მებრძოლებზეც. ორთაჭალელთა და დიღმელთა თამაშს (შეგახსენებთ, რომ ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დამთავრდა, პენალტებით კი ორთაჭალელებმა გაიმარჯვეს — 4:2) აშკარად აკლდა ის ბრძოლის ჟინი, რითაც ყველა წინა მატჩი გამოირჩეოდა. არცაა გასაკვირი: თუ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ერთხელ მაინც გადაგიბრუნდა ფეხი, ძნელია საბრძოლო განწყობის შენარჩუნება. ფინალისტთა ბრძოლა კი სხვა იყო, აქ სხვა ფაქტორები იძენენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. აი, რა გვითხრა მატჩის შემდეგ ვაკელთა მოთამაშე-მწვრთნელმა ზაზა ბოკერიამ: ფინალური მატჩები, როგორც წესი, ნაკლებად საინტერესო გამოდის. ეს ბუნებრივია: იზრდება მოთამაშეთა მღელვარება...“. ვერელთა მწვრთნელმა ოთარ ნათაძემ აღნიშნა: „შეხვედრის წინ ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ...“. როგორც ხედავთ, გუნდების წარმომადგენელთა აზრი დაემთხვა. სხვათა შორის, ორივე გუნდის მწვრთნელებმა ისიც თქვეს: მატჩის წინ დარწმუნებული ვიყავით, რომ პენალტების სერიის გარეშე შევძლებდით გამარჯვებასო. მიუხედავად ამისა, პენალტების სერია მაინც აუცილებელი გამოდგა: ძირითადი დრო ანგარიშით 1:1 დამთავრდა და გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომლის წევრებსაც უფრო ძლიერი ნერვები აღმოაჩნდა.

ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებს მთავარი პრიზის გარდა ოქროს მედლებიც გადაეცათ. ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ ვერელები, ბრინჯაოს მედლები კი ორთაჭალელებს ხვდათ წილად. ტურნირზე დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური პრიზი: საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მიიღო ვაკელმა ირაკლი ქავთარაძემ, რომელმაც ცხრაჯერ აიღო მეტოქეთა კარი. მასვე გადაეცა ულამაზესი გოლისათვის დაწესებული პრიზი. ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარეს ვერელი რამაზ ცხოვრებაშვილი, საუკეთესო მცველად — ორთაჭალელი ნოდარ ბაზაზაშვილი, მეკარედ — ასევე ვერელი ზაზა ზარიძე. საუკეთესო ფეხბურთელად — ვაკის გუნდის წევრი რომან შოთაძე. ყველაზე ასაკოვანი მოთამაშისათვის დაწესებული პრიზი ვაკელთა მეკარეს ცოტნე ცოტაძეს გადაეცა.

მაშ ასე, თბილისის უბნების პირველი ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში დამთავრდა. ბრინჯაოს თასი პირველ ახალ წელს ვაკეში შეხვდება!

**რედაქციისაგან: მინიფეხბურთში თბილისის უბნების პირველობამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ თუკი საქმეს გულიანად და განსაკუთრებული მონდომებით მოვეკიდებით, შედეგსაც სასურველს მივაღწევთ. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ თბილისელთა თაოსნობამ მთელს რესპუბლიკაში ჰპოვა გამოძახილი და სხვა ქალაქებშიც გამოჩნდნენ მიმდევრები, აღარაფერს ვამბობთ იმ დიდ ინტერესზე და აჟიოტაჟზე, რომელიც ჩვენს საზოგადოებრიობაში გამოიწვია ამ შეჯიბრებამ.**

**და კიდევ ერთი: გარდა იმისა, რომ ასე ცხადად დავრწმუნდით მასობრივი ასპარეზობის კარგად ჩატარების შესაძლებლობებში, ისიც არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ აშკარად ხელშესახები ბევრი რეზერვი გვრჩება აუმოქმედებელი. და რაკი ასეა, რატომ უნდა იყოს მინიფეხბურთი გამონაკლისი? ხომ შეიძლება ასეთი შეჯიბრებები სხვა სახეობებშიც ჩავატაროთ, თანაც რესპუბლიკური ასპარეზობის რანგში ავიყვანოთ იგი? ცხადია, შეიძლება. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შესანიშნავ წამოწყებას ჭეშმარიტად ფართო მასშტაბი უნდა მივცეთ.**



სურათებზე: ზემოთ — ფინალური ასპარეზობის მომენტი; ქვემოთ — ვაკისა და ვერის უბნების ფეხბურთელები მატჩის შემდეგ.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

## მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

# ხუთი ჩემპიონი და გუნდური გამარჯვება

**ბუდაპეშტი.** აქ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს (ხუთი ოქროს, ორი — ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მიაგატდინ ალახვერდიევი, სერგეი დიუდაევი (ორივე — სსრ კავშირი), ემილ ივანოვი (ბულგარეთი), კომანდარ მაჯიდოვი, ლევონ ჯულფალაკიანი, მიხეილ მამიაშვილი (ყველა — სსრ კავშირი), ანჯეი მალინი (პოლონეთი), ტომაშ გასპარი (უნგრეთი) და თომას იუჰანსონი (შვეცია). 82 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი არ გათამაშდა, ვინაიდან, ფინალისტებმა ტიბორ კომარომიმ (უნგრეთი) და ბოგდან დარასმა (პოლონეთი) 6 წუთის მანძილზე ვერც ერთი ილეთი ვერ ჩაატარეს.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ვერცხლის მედლები ტიმერჟან კალიმულინმა (57 კგ) და ვლადიმერ გრიგორიევმა (130 კგ) მოიპოვეს, ბრინჯაოსი კი ანატოლი ფედორენკომ (100 კგ).

# „იმედის“ თასზე

**სტავროპოლის** ოლქის ქალაქ ნევინომისკში დაიწყო „იმედის“ თასის საკავშირო ფინალური გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ რსფსრ-ს, მოსკოვის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, აგრეთვე, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

საქართველოს გუნდს (ხელმძღვანელები ნ. ამირეჯიბი და ჯ. ანთიძე) პირველი შეხვედრა ჰქონდა „შრომითი რეზერვების“ ნაკრებთან, რომელშიც საქართველოს 7 ფეხბურთელია შეყვანილი. მატჩი ფრედ დამთავრდა — 3:3.

# „სელტიკის“ მარცხი

**შოტლანდიის** საფეხბურთო ლიგის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები, გლაზგოს გუნდები — „სელტიკი“ და „გლაზგო რეინჯერსი“ („სელტიკი“ ჩემპიონთა თასზე კიევის „დინამოს“ მეტოქეა და 5 ნოემბერს უნდა ითამაშოს კიევში).

„გლაზგო რეინჯერსმა“ ტრადიციული მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 2:1.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 43-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 6 (ძიუდო), 19 (სათხილამურო რბოლები), 21 (ცურვა), 29 (სასტენდო სროლა), 40 (რიკაობა), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 4 (კრივი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 29 (სასტენდო სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

# თბილისობაზე...

დასასრული

**მთაწმინდის** პლატოზე დილით მინიფეხბურთში გაიმართა შეჯიბრება, შუადღისას კი ნახევრხმოყრილ წრესთან ქართული ჭიდაობის მოყვარულები შეიკრიბნენ. აფიშები და ადგილობრივი რადიო მკლავისა და მუხლის ძალის გამოცდის მსურველებს უხმობდა. დოლ-ზურნის ხმა ეფინებოდა არემარეს, ფალავნებიც საბრძოლველად შეიმართნენ. მათ საცქერლად კარგა ბლომად შეიკრიბა ხალხი. „ხალიჩაზე“ ერთმანეთს ცვლიდნენ ხაშურელი, მაიაკოვსკელი, კასპელი, თბილისელი ფალავნები...

კმაყოფილნი ტოვებდნენ სარბოელს მოჭიდავეებიცა და მაყურებლებიც.

**ეს** იყო ერთ-ერთი ულამაზესი საცხენოსნო-სპორტული დღესასწაული, რომელიც ოდესმე ჩატარებულა თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე. თეატრალიზებული აღლუმის შემდეგ მხედრებმა თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში და დაბრკოლებათა გადალახვაში, გაიმართა დოღები და რბოლა, თბილისობის ზეიმზე პირველად ჩატარდა სტიპლჩეისი. ხალხმრავალი ტრიბუნების წინ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში — ცხენბურთში, ისინდში, ყაბახში, აჩვენეს სსრ კავშირის მოძმე ხალხების საცხენოსნო თამაშებიც. ყველა შეჯიბრება ტარდებოდა რიტმულად, შესაფერისი მუსიკალური ჰანგების თანხლებით. ადგილობრივი რადიოკვანძის საშუალებით კი მაყურებელს აწვდიდნენ საინტერესო ინფორმაციას საქართველოში საცხენოსნო სპორტის ისტორიიდან.

თბილისის იპოდრომზე ამ შესანიშნავი ზეიმის ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტს, რომლის უშუალო დახმარებით თბილისში ჩამოვიდნენ გაგრის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და მახარაძის მხედრები, სპეციალური მანქანებით გადმოიყვანეს მერნები.



# საბჭოთა ნაკრები აშშ-ში

**მოსკოვი.** კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაფრინდა საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი. ჩვენი სპორტსმენები კალათბურთის სამშობლოში 14 შეხვედრას გამართავენ. პირველი მატჩი 28 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. ამ დღეს საბჭოთა ნაკრების მეტოქე ერთ-ერთი პროფესიონალური კლუბი იქნება. დანარჩენ შეხვედრებს კი უნივერსიტეტების საუკეთესო გუნდებთან ჩაატარებენ. ბოლო მატჩი კანზასის უნივერსიტეტის გუნდთან 19 ნოემბერს გაიმართება.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ: მოსკოველები ვ. ტკაჩენკო (სიმაღლე 220 სმ), ვ. გობოროვი (210), ს. ტარაკანოვი (200), ი. მიგლინიეკსი (200), ვ. ტიხონენკო (202), კიეველები — ა. ბელოსტენი (214) და ა. ვოლკოვი (202), ტალინელი ტ. სოკი (188), ვილნიუსელი შ. მარჩიულიონისი (186), დონეცკელი ს. ბაბენკო (208). ნოემბრის დასაწყისში მათ შეუერთდებათ კაუნასის „ჟალგირისის“ მოთამაშეები ა. საბონისი და ვ. ხომიჩუსი (30 ოქტომბერს და 6 ნოემბერს ისინი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პროგრამით თურქეთის „გალათასარაის“ ხვდებიან). საბჭოთა ნაკრებს ამ ტურნესათვის მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელი არმან კრაულინში ამზადებდა.

# დღეს ბარსელონაში

**დღეს** ბარსელონაში სუპერთასისთვის მებრძოლი „ბარსელონასა“ და ზაგრების „ციბონას“ კალათბურთელები მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს. პირველი მატჩი ზაგრებში ჩატარდა.

ფინალურმა მატჩმა, ცხადია, დიდი ინტერესი გამოიწვია. მას 8000 მაყურებელი დაესწრო. მატჩს, რომელმაც დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში ჩაიარა, სჯიდნენ ადგილობრივი არბიტრები რადიჩი და გრაბიჩი. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. ტაიმი მაინც „ბარსელონამ“ მოიგო — 55:49, რასაც დიდად შეუწყო ხელი ამერიკელი ტრუმბოს (მან ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო) კარგმა თამაშმა. მეორე ტაიმში მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებულმა „ციბონამ“ დრაჟენ და ალექსანდრე პეტროვიჩების ზუსტი ტყორცნების შედეგად გარდატეხა შეიტანა თამაშში და უკანასკნელ წამს დრაჟენ პეტროვიჩის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ძალზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 102:101. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო დრაჟენ პეტროვიჩი (47 ქულა), დამარცხებულთაგან — ტრუმბო (32).

მიმომხილველების აზრით დღეს, ბარსელონაში, „ციბონას“ ძალზე ძნელი გამოცდა ელის.

**მერაბ კალანდაძე.**

# პირველია ანდრეი ტოროსიანი

**მოსკოვის** სპორტის სასახლეში გაიმართა დედაქალაქის ღია პირველობა ფიგურულ ციგურაობაში. სტარტზე ქვეყნის ბევრი წამყვანი სპორტსმენი გამოვიდა, მათ შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ფადეევი. ორი დღის ჯამში სწორედ იგი ლიდერობდა, მაგრამ დასკვნით დღეს (ნებისმიერი პროგრამა) აღარ უასპარეზია.

საინტერესოა, რომ შეჯიბრებაში თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი 19 წლის ანდრეი ტოროსიანიც მონაწილეობდა (ეს საპატიო წოდება მას ამ ორიოდე დღის წინ მიენიჭა ოფიციალურად), იგი თავიდან მეორე ადგილზე იყო, მაგრამ ლიდერის გამოთიშვის შემდეგ მოსკოვის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

კარგად დაიწყო ზამთრის ახალი სეზონი თბილისელმა მოციგურავემ.

**ტელეფონით, „ლელოს“ კორ.**
მოსკოვი.

## ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპორტი მიატოვა

იგი ორი წლის წინ, ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში გახდა ჩემპიონი, მაგრამ მერე სპორტს თავი მიანება. მერი ლუ რეტონი მაშინ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტანმოვარჯიშე იყო მსოფლიოში, რომელმაც მრავალჭიდში ოქროს მედალი მოიპოვა, ხტომებში ვერცხლის ჯილდო მიიღო, ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ოლიმპიადაში გამარჯვების შემდეგ რეტონი გულშემატკივრებმა მხოლოდ ერთხელ იხილეს ფიცარნაგზე. 1985 წლის გაზაფხულზე მან მონაწილეობა მიიღო აშშ-ის თასის ღია გათამაშებაში და იქაც პირველი ადგილი დაიკავა. ეს იყო და ეს. მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეებს მას შემდეგ რეტონი აღარ შეხვედრია.

ბოლო დროს იგი კომერციულმა საქმიანობამ გაიტაცა, ახლახან კი მემუარების წიგნის წერა დაამთავრა. ამ დღეებში ოლიმპიურმა ჩემპიონმა საჯაროდ განაცხადა, სპორტს თავს ვანებებო. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ სპორტს იგი დიდი ხანია, ფაქტიურად ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩამოსცილდა.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# პირველი გამარჯვება

**მოსკოვი.** შაბათს და კვირას ჩატარდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. დაძაბულ ბრძოლაში მან კაუნასის „გრანიტასი“ დაამარცხა — 24:22. მეორე დღეს საქართველოს ხელბურთელები არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კოლექტივთან თამაშობდნენ. წარმატებას ამ შეხვედრაში მოსკოველებმა მიაღწიეს — 28:22.

ორი შეხვედრა მოიგო გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა. მან ჯერ ასტრახანის „დინამო“ დაამარცხა — 24:21, მერე კი უმნიშვნელო უპირატესობით ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდს აჯობა —19:18.

გათამაშების მეორე ლიდერს მინსკის არმიელთა კოლექტივს კი ხელი მოეცარა. ლენინგრადის „ნევასთან“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ (32:19) იგი მოულოდნელად დამარცხდა ასტრახანის „დინამოსთან“ — 27:29.

მოსკოვის ტურში ლიდერობა ხელთ იგდეს საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენებმა, რომლებსაც რვა მატჩის შემდეგ 14 ქულა აქვთ. მინსკის არმიელები დაწინაურებულს 2 ქულით ჩამორჩებიან. კრასნოდარის სკიფ-თან (20:19) და თბილისის სპი-სთან გამარჯვების შედეგ ცსკა-მ ერთი ქულით გადაუსწრო მინსკის არმიელებს და მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

**გთავაზობთ** სხვა შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს: ასკ (კიევი) — ტირასპოლი 18:17. „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — ზიი (ზაპოროჟიე) 21:20, ასკ (კიევი) — სკიფ (კრასნოდარი) 24:22, ტირასპოლი — „ნევა“ (ლენინგრადი) 25:23, „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) 29:27.

## ნოკაუტების სერია გრძელდება

ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი პროფესიონალი მოკრივე, რომელსაც იმდენი მატჩის გამართვა შეეძლოს, რამდენსაც მძიმეწონოსანი მაიკ ტაისონი ატარებს. მაიკი, როგორც იტყვიან, ჯიუტად მიიწევს წინ, სურს მსოფლიო ჩემპიონი გახდეს.

აი, ტაისონის ორი უახლოესი მატჩის შედეგიც: ატლანტიკ-სიტიში ამერიკელი მოკრივე შეხვდა თავის თანამემამულე ჯო რიბალტს. შეუპოვარი ბრძოლა მეათე რაუნდში ტაისონმა ნოკაუტით დაასრულა.

ამ დღეებში ლას-ვეგასის „სეზარპალასში“ მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტი კიდევ ერთ ამერიკელს — ალფონს რატლიფს შეხვდა. მატჩი 10 რაუნდისგან შედგებოდა, მაგრამ უკვე მეორე რაუნდში ტაისონმა ნოკაუტით დაამარცხა მეტოქე.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 28 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საჭადრაკო სკოლა — **12.10 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში: „გრანიტასი“ (კაუნასი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — **23.50 (2)**;

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05897